დანართი N 1

ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი;

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას, პასუხისმგებელია სამსახურისათვის დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე .

ბ) ანაწილებს სამსახურის მოსამსახურეთა ფუნქციებს და კომპეტენციებს;

გ) განსაზღვრავს სამსახურის საქმიანობის ორგანიზებისა და დაგეგმვის წესებს, ფორმებსა და მეთოდებს, სამსახურის მოსამსახურეთა თანამდებობრივ მოვალეობებს.

დ) ხელს აწერს სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ სამსახურებრივ დოკუმენტაციას.

ე) უნაწილებს კორესპოდენციას თანამშრომლებს, აწესებს კონტროლს მის შესრულებაზე, ანაწილებს დავალებებს საჯარო მოსამსახურეთა შორის, ისმენს ანგარიშებს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ, კონტროლს უწევს შინაგანაწესის დაცვას.

ვ) თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს წინადადებებს სამსახურის საჯარო მოხელეთა წახალისების, დისციპლინური პასუხისმგებლობის, შვებულების, სამსახურებრივი მივლინების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლების შესახებ.

ზ) თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს სამსახურის მიერ მომზადებულ საკითხებს, წინადადებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს.

თ) თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს სამსახურის მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ.

ი) ანხორციელებს ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებას კომპეტენციის ფარგლებში.

კ) ანხორციელებს კანონმდებლობით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებით და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

დანართი N 2

ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ა) განიხილავს სამედიცინო მომსახურების, თანადაფინანსების პროგრამით სარგებლობის მსურველი პირების განცხადებებს და ამზადებს შესაბამის დოკუმენტაციას.

ბ) ანხორციელებს ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და დასაქმების მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას.

გ) უზრუნველყოფს სამზრუნველო ქსელის განვითარებას, თავშესაფრების მოწყობის ორგანიზებას და მოსახლეობის სოციალური ადაპტაციისათვის საჭირო ღონისძიებების გატარებას.

დ) უზრუნველყოფს მოსახლეობის შრომითი მოწყობის, უმუშევართა დახმარების მუნიციპალურ პროგრამათა პროექტების მომზადებას და დამტკიცებულ პროგრამათა განხორციელებას.

ე) უზრუნველყოფს ღონისძიებათა დაგეგმვას, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით.

ვ) უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრებ, იძულებით გადაადგილებულ პირთა აღრიცხვას, მათი პრობლემების შესწავლას, შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვას და მათი სოციალური უფლებათა დაცვას.

ზ) უზრუნველყოფს სამსახურეობრივი ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებით, ხელმძღვანელი პირების დავალებების შესრულებას.

დანართი N 3

ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - თამარ მიხელიძე უზრუნველყოფს:

ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ უსახლკაროთა რეგისტრაციაში გატარებას.

ბ) თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ დევნილთა და ვეტერანთა საქმეებზე მუნიციპალური პროგრამების განახორციელებას.

გ) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე სოციალური დაცვის , დასაქმებისა და დემოგრაფიის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების ხელშეწყობას;

დ) მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ვეტერანთა საქმეების კოორდინაციას და მონიტორინგს.

ე) ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამის" შესაბამისად, ბრძანების პროექტების მომზადებას.

ვ) ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამის „ შესაბამისად განცხადებების განხილვას და ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

ზ) ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახლმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური დახმარების პროგრამის" ფარგლებში შემოსული განცხადებების განხილვას და ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

თ) ,,უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის პროგრამის " შესაბამისად, ბრძანების პროექტების მომზადებას.

ი) ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ბენეფიციარების სოციალური დახმარების პროგრამის" შესაბამისად განცხადებების განხილვას და ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

კ) ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სოციალური დახმარების პროგრამის " შესაბამისად განცხადებების განხილვას და ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

ლ) ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურების დაფინანსების პროგრამის" შესაბამისად განცხადებების განხილვას და ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

მ) ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურების პროგრამის " შესაბამისად განცხადებების განხილვას და ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

ნ) სამსახურეობრივი ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებით, ხელმძღვანელი პირების დავალებების შესრულებას.

დანართი N 4

ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - შორენა სოფრომაძე უზრუნველყოფს:

ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ბავშვებისა და მოხუცების საზოგადოებასთან ადაპტირებისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.

ბ) ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში გასატარებელ ღონისძიებათა შემუშავებას და მათი განხორციელების კოორდინაციას.

გ) იმ პირთა აღრიცხვის ორგანიზებას , რომელთა დახმარებაც ხდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

დ) ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით დახმარების პროგრამის“ შესაბამისად, ბრძანების პროექტების მომზადებას.

ე) ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მძიმე ჯანმრთელობისა და სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებზე მედიკამენტებით დახმარების პროგრამის“ შესაბამისად განცხადებების განხილვას, ახდენს განმცხადებლისათვის ტალონის გადაცემას და თვეში ერთჯერ ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

ვ) ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკისონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური დახმარების პროგრამის“ შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული განცხადებების განხილვას და ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

ზ) ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური დახმარების პროგრამის“ შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული განცხადებების განხილვას და ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

თ) ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულთა ფინანსური დახმარების პროგრამის“ შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული განცხადებების განხილვას და ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

ი),,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების დახმარების პროგრამის“ შესაბამისად მერის ბრძანების პროექტის მომზადებას .

კ) სამსახურეობრივი ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებით, ხელმძღვანელი პირების დავალებების შესრულებას.

დანართი N5

ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - თამუნა ლილუაშვილი

ა) უწევს კოორდინაციას და ადმინისტრირებას სოციალურ მუშაობას.

ბ) ახდენს სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი პირების აქტიურ იდენტიფიცირებას , მათი საჭიროებების განსაზღვრას და შეფასებას , პრობლემის იდენტიფიცირებას და შესაბამისი დარგობრივი დაწესებულებისთვის ინფორმაციის მიწოდებას.

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში , როდესაც აუცილებელია საფრთხის თავიდან აცილება, ანხორციელებს ბენეფიციართა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სოციალურ მომსახურებაში ჩართვას და ამის შესახებ შესაბამისი ორგანოსთვის დაუყოვნებლივ შეტყობინებას.

დ) ახდენს ოჯახში ძალადობის ფაქტის იდენტიფიცირებას და მასზე შესაბამის რეაგირებას.

ე) უზრუნველყოფს, ბენეფიციარებისთვის შესაბამისი სოციალური , სამედიცინო შეღავათიანი მომსახურების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას და მათში ჩართვის ხელშეწყობას.

ვ) ანხორციელებს, მიზნობრივი ჯგუფებისა და მათი ოჯახებისათვის შესაბამისი აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებას და კონსულტაციის გაწევას.

ზ) უზრუნველყოფს, ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში სოციალური მუშაობის ჩატარებას.

თ) უზრუნველყოფს, სამსახურეობრივი ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებით, ხელმძღვანელი პირების დავალებების შესრულებას.